MES 4 21 0000478179

24/05/2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ.თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები :

1. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან ბოტკოველი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
5. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
6. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
7. **ზვიად გოგუაძე -**
8. **პერტე ბაბილუა -** შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
9. **ეკატერინე კვირიკაშვილი -** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
10. **ია აფთარაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კვლევების კოორდინატორი, საბჭოს წევრი;
11. **ლიანა კობესაშვილი -** შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
12. **ზაქარია ქიტიაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა დამხარდაჭერის კავშირი

სკოლის დირექტორი - შტეფანი დროლლ
სკოლის დირექტორის მოადგილე - ნინო აბაშიძე
იურისტი - თათია ზარქუა

შპს ევროპული სკოლა

იურისტი - მარიამ კაკელაშვილი
ადმინისტრაციული მენეჯერი - თამარ არაბიძე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი

ლელა ფიცხელაური
მაია ინასარიძე

შპსევროპულისკოლა

ხათუნა ბარაბაძე
მარინე ჯანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 19 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით).
სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა იქნა წარდგენილი საბჭოს წევრის, პეტრე ბაბილუას მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა წარმოადგენდა შპს ევროპული სკოლის მასწავლებელს, ის აღნიშნული საკითის კენჭისყრაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას და მან განაცხადა თვითაცილება. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მაია ინასარიძემ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, მათი შეფასება განმეორებით მონიტორინგს გულისხმობდა. წინა შეფასების შედეგად გამოვლინდა გარკვეული სახის შეუსაბამობები, რომელთა გამოსასწორებლადაც სკოლას 60 კალენდარული დღე განესაზღვრა. მისი თქმით, სკოლაში

ქართული ენა ისწავლებოდა მხოლოდ ქართულენოვანი მოსწავლეებისთვის, რითაც დარღვეული იყო ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნა. ექსპერტის განმარტებით, განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ ჯერ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი მიმართვა, რომელშიც ითხოვდა ნებართვას, სწავლება განეხორციელებინა დადგენილისაგან განსხვავებული სქემით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სხვა ეროვნების მოსწავლეებისათვის ყოფილიყო ფაკულტატური, დამოკიდებული მოსწავლის მშობლები სურვილზე. ქართველი მოსწავლეებისთვის კი სავალდებულო, 4-საათიანი კვირეული დატვირთვით. მისი თქმით, სკოლამ დამატებით წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი განმეორებითი მიმართვა, რომლის მიხედვითაც, სკოლას შეტანილი ჰქონდა ცვლილება საათობრივ ბადეში და ქართული ენის სწავლება ყველა მოსწავლისთვის, სწავლების ყველა საფეხურზე დაგეგმა სავალდებულო სახით.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას არ გააჩნდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა. მისი თქმით, განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ, წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი, გადაგზავნილი სასწავლო პროგრამები, საათობრივი ბადე, შეფასების სისტემა, გამოსაყენებელი სახელმძღვანელოები და სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაცხადებული იყო, რომ თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში სწავლება თიურინგიის ფედერალური მიწის სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, აქედან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული იყო სწავლების საფეხურებრივი დაყოფა.

ამის შემდეგ ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სკოლის მიერ შემუშავებული საათობრივი ბადის შესაბამისად, ესგ-ით გათვალისწინებული საგნების ნაწილი სრულად ამოღებული იყო სწავლების კონკრეტულ საფეხურზე, არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და განსხვავდებოდა ასევე, სკოლის შეფასების სისტემაც.

ექსპერტის განცხადებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეები, რომელთა სწავლის აღიარების უფლებასაც ვერ მოიპოვებდა სკოლა, ისე სწავლობდნენ და ასრულებდნენ სწავლას სკოლაში, რომ მათი ჩარიცხვა და ამორიცხვისას არანაირი ბრძანება არ იწერებოდა. მისი თქმით, 2020 წლის 9-11 სექტემბრის მონაცემებით, 29 მოსწავლე, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ სკოლის შიდა ბაზაში, არ იყვნენ რეგისტრირებულნი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული მოსწავლეების დოკუმენტაცია სწავლის აღიარების პროცესში იყო და დასრულებისთანავე მოხდებოდა მათი რეგისტრირება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, ისინი ცდილობდნენ მოსწავლეების დარეგისტრირებას და აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მართვის საინფორმაციო სისტემასთან.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას 3 მოსწავლე 2014 წელს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, 5 წლის ასაკში ჰყავდა მიღებული, შესაბამისად, ეს მოსწავლეები წლების განმავლობაში არ ფიქსირდებოდნენ მართვის საერთო საინფორმაციო ბაზაში, რაც მათ საქართველოში მობილობის განხორციელების შესაძლებლობას ართმევდა. მისი თქმით, განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი მოსწავლის მშობლის მიმართვა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის, მოსწავლის მიერ ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ მშობლის მოთხოვნის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 იანვარს მიღებული დროებითი განჩინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მოსწავლე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე ჩარიცხული იქნებოდა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მე-6 კლასში. მისი თქმით, რაც შეეხებოდა მეორე მოსწავლეს, იგი წარმოადგენდა გერმანიის საელჩოს თანამშრომლის

შვილს, გერმანიის საელჩოს 2021 წლის 04 თებერვლის კორესპონდენციით ირკვეოდა, რომ გერმანული სასკოლო სისტემის მიხედვით, 5 წლის ბავშვს, რომელიც მზად იყო სკოლისთვის, შეეძლო სკოლაში სწავლის დაწყება.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა, სკოლის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. მისი თქმით, განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის 6-წლიანი სტრატეგიული გეგმა, სვოტ-ანალიზი და 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი იყო აქტივობების ჩამონათვალი, შესრულების ვადები და მითითებული იყო შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.
სკოლის დირექტორის განცხადებით, იმ ათ მოსწავლესთან მიმართებით, რომლებიც მეორე მონიტორინგის დროს ჯერ კიდევ განათლების აღიარების პროცესში იყვნენ, ამ ეტაპზე დასრულებული იყო აღიარების პროცედურა და მოსწავლეები ფიქსირდებოდნენ უკვე მოსწავლეთა საერთო ბაზაში.
სკოლის დირექტორის მოადგილის თქმით, მათ განსაზღვრული ჰქონდათ ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღე. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ჩამონათვალი ხარვეზებისა, რომელიც გამოსწორებული ჰქონდა სკოლას. მისი თქმით, სკოლას პირველი მონიტორინგის დროს სასკოლო სასწავლო გეგმა ჰქონდა მხოლოდ გერმანულ ენაზე. მოგვიანებით სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითარგმნა ქართულ ენაზე და ამ ეტაპზე ის სრულად შესაბამისობაში იყო ქართულ სტანდარტთან და ქართულ რეგულაციებთან.
ცენტრის დირექტორის მოადგილემ, კახაბერ ერაძემ, განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ზეპირ მოსმენაში საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით და მან ითხოვა სიტყვის უფლება.
საბჭოს თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა.
კახაბერ ერაძემ მიმართა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ მას სურდა მიეწოდებინა მათთვის დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეს ინფორმაცია იყო მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაცია და თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ მხედველობაში მიეღოთ საბჭოს წევრებს, გადაწყვეტილების მიღების დროს. მან დაადასტურა, რომ მოსწავლეებთან მიმართებით, სკოლას შემოტანილი ჰქონდა აღიარებაზე განცხადებები და ცენტრში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოებები. აღნიშნული წარმოებები არ იყო დაჩქარებული წესით მოთხოვნილი და განმარტა, რომ ცენტრის მხრიდან აღიარების პროცედურის გაჭიანურებას არ ჰქონია ადგილი. ასევე, მისი თქმით, ის რომ საბჭომ მისცა სკოლას ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობა, ნიშნავდა იმას, რომ საბჭო მიიჩნევდა, არსებული ხარვეზები იქნებოდა გამოსწორებადი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან, სკოლა თანამშრომლობდა ცენტრთან, ასევე ინტენსიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მისი თქმით, სამინისტრო თავის პოზიციაში აფიქსირებდა, რომ სკოლა მოქმედებდა საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში და სკოლას სხდომის მიმდინარეობის დროს ზემოაღნიშნული ხელშეკრულება არ უხსენებიათ როგორც მის სასარგებლოდ მოქმედი მექანიზმი. მისი თქმით, სკოლა მთლიანად მოტივირებული იყო, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა მოქცეულიყო ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში. მან აღნიშნა, რომ არა მხოლოდ სკოლა, არამედ გერმანიის საელჩოს წარმომადგენლებიც ფიქრობდნენ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების მექანიზმი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც სკოლის მიმართ დამცავი ღონისძიება და მათ სურდათ, რომ გერმანული სკოლა ყოფილიყო ისეთივე, როგორც ყველა სხვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სკოლები, ქართული კანონმდებლობის მოთხოვნებს მთლიანად დაქვემდებარებული.
მისი თქმით, ცენტრს ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ინტენსიური განხილვები, აღნიშნული სკოლის საკითხთან დაკავშირებით და ეს საკითხი არ უკავშირდებოდა მხოლოდ გერმანულ სკოლას, არამედ, ზემოაღნიშნული წამოადგენდა სისტემურ საკითხს. მისი თქმით, როდესაც საერთაშორისო კურიკულუმები ხორციელდებოდა

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ცალკეულ ნაწილებში ვერ მოდიოდა შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, იმიტომ რომ მოქმედი კანონმდებლობა იყო ხისტი და ის ეროვნულ სასწავლო გეგმას მიიჩნევდა, როგორც ერთადერთ შესაძლებლობას და ალტერნატივას განხორციელებულიყო სასკოლო კურიკულუმი, გარდა საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისა. მან აღნიშნა, რომ ეს არ იყო ის შემთხვევა, როდესაც საუბარი მიდიოდა საერთაშორისოდ აღიარებულ პროგრამებზე, არამედ საუბარი იყო ავტორიზაციის რეჟიმში მოქმედ სკოლაზე. მისი თქმით, მსგავსი სკოლა საქართველოში იყო კიდევ ორი და ცენტრს სურდა დაწყებულიყო საკითხის მოკვლევა სხვა სკოლებთან მიმართებითაც.
მისი თქმით, ცენტრი გეგმავდა მნიშვნელოვან ცვლილებებს საკანონმდებლო დონეზე და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებშიც. ცვლილებების მთავარი სამიზნე იქნებოდა ის, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ყოფილიყო ერთ-ერთი და არა ერთადერთი ალტერნატივა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევისა.
მისი თქმით, იმის დასტურად, რომ გადადგმული იყო ნაბიჯები, მან დამსწრე პირებს განუმარტა, რომ მოხდა ცენტრის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების წარდგენა სამინისტროში, რომელიც ეხებოდა ,,ზოგადი განათლების შესახებ“ და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანას. მისი თქმით, ამ ინიცირებას მოყვებოდა ცვლილებები, როგორც ავტორიზაციის დებულებაში, ისე, ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც. აღნიშნული ცვლილებები შესაბამისი მოქნილობით აღჭურავდა, არა მხოლოდ გერმანულ, არამედ ქართულ სკოლებსაც.
კახაბერ ერაძის განცხადებით, სკოლას არ სურდა საერთაშორისო ხელშეკრულების ფრთას ამოფარვოდა. სკოლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სრული ინტეგრაცია, როგორც ფორმალური სამართლებრივი ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამის შემდეგ, მან მიმართა საბჭოს წევრებს შუამდგომლობით, რომ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციულო წარმოება შეწყვეტილიყო.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:10 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიიჩნიეს, რომ სკოლის მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის (ს/კ: 404378874) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:35 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:40 საათზე.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ზაქარია ქიტიაშვილი 16:45 საათზე.

2. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და მარინე ჯანაშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, „შპს ევროპული სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა მივლინებული იყო შპს ევროპული სკოლის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით.

მისი თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, შპს ევროპულ სკოლაში, დისტანციური ვიზიტი განახორციელა 2021 წლის 17 მარტს. დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შემდეგ, ჯგუფის წევრებმა დაინტერესებულ პირებს გააცნეს ის ძირითადი მიგნებები რაზეც აიგებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა.

ექსპერტის განცხადებით, მონიტორინგის განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა ცენტრში წარმოდგენილი კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ischool ბაზაში, ევროპული სკოლის მე-12 კლასის მოსწავლის ასახვის საკითხს, რომელიც იყო პრობლემური. მისი თქმით, 2021 წლის 17 მარტს ვიზიტის ფარგლებში ჩაინიშნა შესაბამისი ინტერვიუ სკოლასთან. ინტერვიურების დროს გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული მოსწავლე მოსწავლე ირიცხებოდა შპს ევროპული სკოლის არა აკრედიტებულ და საქართველოს კანონმდებლობით არა აღიარებულ პროგრამაზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სამი პროგრამა, ერთი იყო ქართული და ავტორიზებული, ასევე IB პროგრამა, რომელიც წარმოადგენდა საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და ცენტრსა და IB-ის შორის გაფორმებული ხელშეკრულებით იყო საქართველოში აღიარებულიიყო და ასევე high school პროგრამა, რომელიც, არც საერთაშორისო ხელშეკრულებას ექვემდებარებოდა, არა აკრედიტებული იყო და შესაბამისად არა აღიარებული.

ექსპერტის თქმით, ინტერვიურების დროს გაირკვა, რომ შპს ევროპულ სკოლაში ამ უკანასკნელ პროგრამაზე ირიცხებოდა 84 მოსწავლე. მისი თქმით, სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით, ყველა მოსწავლე ფიქსირდებოდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და მათზე გაიცემოდა სახელმწიფო დაფინანსება - ვაუჩერი. ექსპერტის შეფასებით, აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

ექსპერტის განცხადებით, ვინაიდან მონიტორინგის შეფასების დროს გამოირკვა, რომ მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის ლეგიტიმურობის საკითხი ეხებოდა არა აკრედიტებულ,

საქართველოს კანონმდებლობით არა აღიარებულ პროგრამას, ამ საკითხის განხილვა ცდებოდა ექსპერტთა კომპეტენციას და მათ შეწყვიტეს ზემოაღნიშნულის მოკვლევა და შესაბამისი ინფორმაცია წარუდგინეს ცენტრს. თუმცაღა შეფასება განხორციელდა სკოლაში მოსწავლეთა მიღება/ჩარიცხვა/ამორიხვის საკითხებთან მიმართებით.

ექსპერტმა შეაჯამა დასკვნაში დაფიქსირებული ძირითადი ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები. მისი თქმით, სკოლაში მოსწავლეთა მიღების დროს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება წინა კლასების წარმატებით დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას, ასევე ირღვეოდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოწესრიგებულიყო მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში სათანადოდ არ მიმდინარეობდა გაგზავნილი დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალის წარმოება. მისი თქმით, დარღვეული იყო შევსებისა და რიგითობის წესი. მან ასევე აღნიშნა რომ, სკოლაში შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის წარმოების ჟურნალის შესწავლა ვერ მოხერხდა, რადგან სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოეწესრიგებინა გაგზავნილი და შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციების ჟურნალები შპს ევროპული სკოლის აკადემიური დირექტორის 2017 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

დაწესებულების იურისტის განცხადებით, დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს სკოლა ითვალისწინებდა და მზაობას გამოხატავდა მათ შესასრულებლად. მისი თმით, საქმის წარმოების წესთან დაკავშრებით, სკოლამ წარადგინა რეგულაცია, რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის აკადემიური დირექტორის ბრძანებით და მასში დეტალურად იყო განსაზღვრული, თავისი დამტკიცებული ფორმებით, როგორ შემოსული, ისე გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი.

მისი განმარტებით, თავდაპირველად, როდესაც წერილობით შეტყობინება მიიღო სკოლამ ამ დოკუმენტის წარდგენასთან დაკავშრებით მოხდა ტექნიკური შეცდომა. მისი თქმით, შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი მოთხოვნილ პერიოდზე არ იქნა წარმოდგენილი. მისი განმარტებით, როდესაც მუშაობდნენ დასკვნის პროექტზე, მათ უზრუნველყვეს ამ წერილზე შემოსული დოკუმენტების და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალის დართვა და წარდგენა ცენტრისთვის.

დაწესებულების იურისტის განცხადებით, რაც შეეხებოდა მოსწავლეთა ჩარიცხვის საკითხს, განათლების და მეცნიერების მინისტრის N98/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ნამდვილად გამოვლინდა ხარვეზი. მისი თქმით, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებამდე ხდებოდა მოსწავლის ჩარიცხვა და ამ კუთხითაც, სკოლამ საკმაოდ ვრცელი რეკომენდაცია მიიღო, თუ როგორ უნდა განეხორციელებინა ეს პროცესი.

სკოლის იურისტის განცხადებით, მოსწავლესთან მიმართებით, რომელიც გადავიდა ქართული პროგრამიდან IB პროგრამაზე, განხორციელდა შიდა მობილობა პროგრამებს შორის, მშობლის განცხადების საფუძველზე. მისი თქმით, დამატებითი თვალსაჩინოებისთვის და პროცესის წარმართვისთვის, სკოლა გამოთქვამდა მზადყოფნას, მიღება/ჩარიცხვის დებულება და პოლიტიკა დაკორექტირებულიყო. მან განმარტა, რომ გარდა მოსწავლის მშობლის განცხადებისა, ასევე უზრუნველყოფილი და დადასტურებული იქნებოდა ბრძანებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ მიმართა ექსპერტებს კითხვით, იყვნენ თუ არა 84 მოსწავლის მშობლები ინფორმირებულები იმის შესახებ, რომ მათი შვილები სწავლობდნენ არა აკრედიტებულ და არა აღიარებულ პროგრამაზე.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ ამ კითხვით, რა თქმა უნდა, ექსპერტებიც დაინტერესდნენ და მოითხოვეს სკოლას გადაეგზავნა მათთვის სამივე სექტორის ხელშეკრულებების ფორმები. მისი განცხადებით, ხელშეკრულებაში არ იყო, რომ პროგრამა არა აკრედიტებული და არა აღიარებული იყო, ასეთი ჩანაწერი ხელშეკრულებაში არ არსებობდა.
აქვე განმარტება გააკეთა დაწესებულების იურისტმა. მისი თქმით, მოსწავლეები რომლებიც ფიქსირდებოდნენ ემისის ბაზაში, გულისხმობდა ამერიკულ პროგრამას, ყველა მშობელი ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ მათი შვილები ამ პროგრამის დასრულების შემდეგ, ვერ შეძლებდნენ საქართველოში უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღებას.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 17: 40 საათზე .
საბჭოს სხდომა განახლდა 18:00 საათზე.

საბჭომ იმსჯელა და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება. შპს ევროპულ სკოლას განესაზღვრა 60 დღის ვადა მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.
ასევე, საბჭოს წევრებმა მიმართეს ცენტრს შუამდგომლობით, რომ განეხორციელებინა მონიტორინგი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უშუალოდ მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის წესს, მობილობის საკითხებს, მშობელთა ინფორმირებასა და ვაუჩერებთან დაკავშირებულ პრობლემას.
დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღე ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან